



MES 0 22 0001516323



29/11/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 15.11.2022

სხდომის დაწყების დრო: 12:30სთ

სხდომის დასრულების დრო: 15:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;

6. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
7. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
8. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ პროფესორი;
10. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
2	სოფიკო ქურასხედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	სოსო გოგილიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	I, II
2	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
3	კახაბერ თავზარაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
4	ირაკლი ნოსელიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I, II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	შალვა კვიციანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	თამთა ლევიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	დავით ფუტყარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრული და კომუნიკაციების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0171, მ.კოსტავას ქუჩა N77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	

მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრული და კომუნიკაციების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0171, მ.კოსტავას ქუჩა N77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ვინაიდან შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილა ერთმა ექსპერტმა ჯგუფმა, საბჭომ ორივე საკითხი განიხილა ერთი შესვენების ფარგლებში.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოდგინათ მათი მოსაზრებები

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში ჰქონდათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს სტუდენტებს და დღის წესრიგით განსაზღვრულ სხვა პირებს. მათ ასევე დაათვალიერეს მატერიალურ ტექნიკური ბაზაც.

ექსპერტის თქმით პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით, გარდა მეორე სტანდარტისა შეფასდა როგროც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მეორე სტანდარტთან მიმართებაში კი შეფასდა როგროც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს და თუ განიხილავს მათ, როგროც ინჟინერიის სწავლის შედეგებს კარგად არის დაწერილი. აქ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში მეტი აქცენტირება უნდა გაკეთდეს ელექტრონულ და კომუნიკაციების ინჟინერიაზე. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა დაშვების წინაპირობებს, რომ პროგრამაზე მოსახვედრად აბიტურიენტებს შეეძლოთ როგროც მათემატიკის, ასევე ფიზიკის ჩაბარება. ექსპერტის თქმით, პროგრამით ისწავლება საგანი

"სიგნალების დამუშავება" რომელიც თავის შინაარსით მოითხოვს ფურიეს გარდაქმნის , ფურიეს სწრაფი გარდაქმნის , ლაპლასის და z გარდაქმნების ცოდნას. ამ საგანის წინაპირობაში არსად გვხვდება მათემატიკა. პროგრამით ასევე ისწავლება საგანი "სასიგნალო პროცესორები" საერთოდ წინაპირობების გარეშე. მოცემული საგნის შესწავლა მოითხოვს ციფრული ტექნიკის საფუძვლების ცოდნას, პროგრამირების უნარებს. სილაბუსებში თითქმის არსად არ არის გაწერილი ლაბორატორიული სამუშაო, დავალება ან სალექციო თემის მოკლე აღწერილობა. სილაბუსებში არ არის შეფასების კრიტერიუმებიც. დაწესებულებამ წარმოგვიდგინა საერთოდოკუმენტი კრიტერიუმებისათვის. სტუდენტისთვის გაცილებით მოსახერხებელი იქნება ეს ინფორმაცია აისახოს სილაბუსში. სასწავლო კურსები ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი პროგრამებით. მაგ. სილაბუსში მითითებულია მათლაბი/MATLAB. ხოლო უნივერსიტეტში არ არის დაინსტალირებული არც ერთ კომპიუტერზე. შემდეგი რეკომენდაცია ეხება სწავლა სწავლების მეთოდებს, მისი თქმით, პროგრამის კომპონენტებში მითითებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია. თუმცა იმის გამო, რომ სილაბუსებში არ არის გაწერილი პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები ძნელია იმის თქმა რამდენად ხდება მითითებული "სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება, და როგორ ხდება კომპონენტის შინაარსის ათვისება. შემდეგი რეკომენდაციები ეხებოდა სევე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიასა და საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიებში განთავსებული აპარატურების დამატებითი ეგზემპლარების შეძენას რადგან არსებული რაოდენობა საკმარისია მხოლოდ 2-3 სტუდენტის მისაღებად. ასევე, ლაბორატორიული სამუშაოების აღწერილობები უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე.

საბჭოსთავმჯდომარემიმართასაბჭოსწევრებს დაეფიქსირებინათმათი მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა ექსპერტებთან, ის დაინტერესდა საბაკალავრო პროექტთან დაკავშირებით, რომელიც პროგრამაში გაწერილია ძირითად სასწავლო კურსების სიაში, არის 12 კრედიტიანი და ისწავლება მე - 8 სემესტრში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კი არის მხოლოდ საბაკალავრო პროექტის გაფორმების წესი და შეფასების კრიტერიუმები. თვლიან თუ არა ექსპერტები, რომ როგორც სავალდებულო სასწავლო კომპონენტს უნდა ახლდეს თავისი სილაბუსი და თუ თვლიან ეს რატომ არ აისახა რჩევებში ან რეკომენდაციებში. ის ასევე დაინტერესდა საბაკალავრო პროექტის გაფორმების წესთან დაკავშირებით, როგორც წესშია მოცემული პროექტი სტუდენტმა შეიძლება წარმოადგინოს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურადაც. შეფასების კრიტერიუმებში გაწერილია, როგორც ინდივიდუალური ასევე გუნდური შეფასების კრიტერიუმები და საბაკალავრო პროექტის შესრულებას თუ განიზრახავს ერთი სტუდენტი, როგორ უნდა შეფასდეს მისი გუნდურობის კომპონენტი, რომელიც 45 ქულით ფასდება. აღნიშნულთან დაკავშირებით არ არის ასახული არც რჩევა და არც რეკომენდაცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძლიერი მხარე შეიძლება იყოს ის, რომ სტუდენტები საბაკალავრო ნაშრომზე იღებენ რეალიზებას და შესრულებას ახერხებენ, რისი ხელშეწყობაც დაწესებულების მხრიდან ნამდვილად აქვთ. დოკუმენტაციაში მოცემულია რომ სტუდენტები სხვადასხვა კონფერენციებში იღებენ მონაწილეობას და ის პრაქტიკული უნარები რაც დამასრულებელი ნაშრომისთვის შეიძლება საჭირო იყოს, ამას ისინი ნამდვილად იღებენ. რაც შეეხება გუნდური სამუშაოს შესრულებას, ექსპერტის თქმით დავალებები დარგის მიხედვით დაყოფილია სხვადასხვა მიმართულებით, შესაძლოა ზოგმა პროგრამულ ნაწილზე იმუშაოს, ზოგმა აპარატურულზე და ა.შ, სწორედ ამის მიხედვით ფასდება გუნდური მუშაობის უნარები. თვითონ თემატიკა ირჩევა აქტუალური საკითხებიდან და ნაშრომებიც ახალ და თანამედროვე საკითხებზეა გაკეთებული.

საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა დააზუსტა და თქვა, რომ ბუნებრივია სტუდენტები იქნებიან კმაყოფილი, როდესაც სამი ადამიანი აკეთებს ერთ პროექტს, მას აინტერესებს ექსპერტს თუ გაუჩნდა კითხვა როგორ ფასდება ეს სამი სტუდენტი ცალ - ცალკე, ვინაიდან სამივე სტუდენტი შეიძლება იყოს განსხვავებული უნარების მქონე.

რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ საბაკალავრო ნაშრომი გულისხმობს ყველა განვლილ კურსების შედეგების თავმოყრას, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს. მისი თქმით გაწერილი შეფასების კრიტერიუმების გამოყენება ხდება, როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ისე გუნდურად მუშაობის შემთხვევაშიც. აქ მარტო ნაშრომი არ ფასდება, ფასდება თვითონ სტუდენტის წვლილიც ნაშრომის შექმნაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ გუნდური პროექტის დროს ფასდება კიდევ სხვა კომპეტენცია, გუნდური მუშაობის უნარი. ხოლო თუ გუნდური მუშაობის უნარი გულისხმობს გუნდში კონფლიქტური სიტუაციებისთვის თავის არიდებას, სამუშაოების სწორად გადანაწილებას, უფლებამოსილებების დელეგირებას და ა.შ და აღნიშნული შეფასების კრიტერიუმებშია შეტანილი, მაშინ თუ ამ პროექტს ერთი ადამიანი გააკეთებს, ამ შემთხვევაში ის ამ კრიტერიუმებით ვერანაირად ვერ შეფასდება, არ იქნება რელევანტური.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს საკითხი სხვა პროგრამასთან მიმართებაშიც დაისვა საბჭოს მხრიდან. მისი თქმით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ შეტანილი წვლილი ამ გუნდურ მუშაობაში. დავალება ნაწილდება, ამოცანა წამოიჭრება მაგალითად უნდა გააკეთონ ჭკვიანი მოწყობილობა, რომელსაც აქვს როგორც პროგრამული, ისე აპარატურული მხარე. ეს დავალება ნაწილდება და იზომება კონკრეტული საზომებით, რომელსაც კრიტერიუმები ჰქვია და სტუდენტებმა აქ გავლილი ცოდნა უნდა გამოიყენონ და შემდეგ შეაფასონ ეს ცოდნა. კონკრეტულ ქეისს თუ განვიხილავთ, ვინ როგორ უნდა შეფასდეს, ცხადია უნდა შეფასდეს როგორც დარგობრივი ისე სხვა მახასიათებლებით სხვადასხვა პროცენტული წილით. სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა კი თანაბარი უნდა იყოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულები სწარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულის წარმომადგენელმა საბაკალავრო პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ მოცემულ პროგრამასთან მიმართებით ცხადად აქვთ გაწერილი, რომ საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ჯგუფურად. საბაკალავრო პროექტი ეს არის სკოლის დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა პროგრამებში გამოიყენება და შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამებში ეს იყოს როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური. კონკრეტულად ამ პროგრამაზე მითითებულია, რომ ეს პროექტი ჯგუფურად სრულდება, რადგან ის სამუშაოები რაც ამ პროექტს სჭირდება არის კომპლექსური და აუცილებლად ჯგუფურად შესასრულებელი. როგორც მან აღნიშნა, მათ ადრეც ჰქონდათ მსგავსი ჯგუფური პროექტები და სტუდენტები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი ამ პროექტებში და არასდროს ყოფილა ფაქტი, რომელიმე სტუდენტი ნაკლებად ასრულებდეს სამუშაოს. სამუშაოები მიმდინარეობს უნივერსიტეტის სივრცეში, ლაბორატორიებში სადაც მენტორებს და ხელმძღვანელებს ყოველთვის აქვთ მათზე დაკვირვების საშუალება იძლება შესაძლებლობას მათ განსაზღვრონ პროცესის განმავლობაში რომელი სტუდენტი, როგორი აქტიურობით გამოირჩევა და რა სამუშაოებს ასრულებს. შესაბამისად სტუდენტის შეფასება ხდება პროცესის განმავლობაში. ამიტომ გამორიცხავენ იმ მომენტს, რომ რომელიმე სტუდენტმა არ შეასრულა თავისი ვალდებულება. ხელმძღვანელი ვალდებული დაეხმაროს სტუდენტს და მისცეს სწორი მიმართულება.

საბჭოს წევრი ეკატერინე შაკიაშვილი დაინტერესდა, პროგრამაზე თუ განხორციელდა გარე შეფასება, მოხდა თუ არა რომელიმე ანალოგი პროგრამების შესწავლა და რომელი პროგრამების საუკეთესო გამოცდილება გამოიყენეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამა არის უნიკალური იმ გაგებით, რომ აქ არის გაერთიანებული ელექტრონული ინჟინერიის და ტელეკომუნიკაციის ძირითადი დისციპლინები და მიმართულია იმ მიზნისკენ, რომ ქვეყანაში ეს დარგი იყოს გაძლიერებული და აღორძინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ გარე შეფასების ნაწილში იხელმძღვანელეს და ისედაც აქვთ კომუნიკაცია აბეტთან და შესაბამისად მათი მხრიდანაც მიიღეს უკვე გარკვეული შეფასებები და შესაბამისად გარკვეული გამოცდილებაც გაიზიარეს. ასევე მათ გარე შეფასებასთან დაკავშირებით ცალკე დოკუმენტიც აქვთ გამოგზავნილი ცენტრში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი არ იყო პირველ ეტაპზე წარმოდგენილი, რის შემდეგაც ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს დაწესებულებიდან, მაგრამ დოკუმენტი არ მიუღიათ, თუმცა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, საქართველოს უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში, ამიტომ მათ რჩევის სახით გასცეს რომ გარდა ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასებისა, სასურველია მოხდეს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება.

საბჭო გადავიდა მეორე საკითხის განხილვაზე - „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაზე ერთერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისი თქმით, პროგრამაზე მიიღებიან უცხოელი სამუშაო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება საზღვარგარეთ ან მისი ეკვივალენტი და ბოლო ორი წლის სრული ზოგადი განათლება, სწავლობდნენ საზღვარგარეთ ან სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ ბოლო ორი ან მეტი წლის განმავლობაში და რომლებიც ამჟამად სწავლობენ საზღვარგარეთ კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს საჭიროა დაემატოს მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით. მისი თქმით, საქართველოს კანონის „ უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-3 მუხლის შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიზნების მისაღწევად, მიზანშეწონილია, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების წინაპირობად განსაზღვრა პროგრამაში. ასევე ქართულენოვანი პროგრამის რეკომენდაციებისგან განსხვავებულია ის რეკომენდაცია, რომელიც ეხება ინგლისურენოვანი ადამიანური რესურსის მოძიებას. საბოლოოდ კი პროგრამის მე - 2 და მე - 4 სტანდარტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დამაზუსტებელი კითხვა დასვა ექსპერტთან, პროგრამის დაშვების წინაპირობებში ნამდვილად არ იყო თუ არა განსაზღვრული ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებამ ახსნა, რომ მათ ზუსტად იგივე პროგრამა აქვთ ქართულენოვანი, სადაც სურვილის შემთხვევაში ჩაირიცხებიან მსურველები ერთიანი ეროვნული გამოცდებით, ასევე რა საკვირველია განსხვავდება სწავლების საფასურიც, ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლა გაცილებით ძვირია და აქ რატომ უნდა მოინდომოს ქართულენოვანმა აბიტურიენტმა ჩაბარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსახილველ პროგრამაზე მათ ჰქონდათ გათვლა, რომ სტუდენტები მიეღოთ მხოლოდ მინისტრის 224-ე ბრძანების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს მხოლოდ უცხოელი სტუდენტების მიღებას. მან აღნიშნა, რომ მათთვის არ არის რაიმე ტექნიკური პრობლემა ის რომ პროგრამაში ასევე დაშვების წინაპირობებში მიუთითონ ერთიანი ეროვნული გამოცდებიც.

ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტმა ჯგუფი ერთდროულად შეხვდა ორივე პროგრამის პერსონალს, რომლებიც ერთდროულად საუბრობდნენ ორივე პროგრამაზე და შესაძლოა გასაუბრების დროს აკადემიური პერსონალი მხრიდან ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართულობის მზაობა ნაკლებად გამოვლინდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის დროს ნახა, რომ რამდენიმე ლექციის წამკითხველს აქვს ინგლისური ენის B1 დონის კომპეტენცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან არ იცის კონკრეტულად რომელ პერსონალზეა საუბარი, მისი თქმით, მათ წინა შეხვედრაზეც აღნიშნეს რომ ზოგი პერსონალი არის კურსის ხელმძღვანელი კურატორი, რომელიც კურს უძღვება და აქვს იმის კომპეტენცია, რომ შექმნას სილაბუსი და მოიძიოს ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს უცხო ენაზე ამ კურსის წაკითხვას. ის საგნები რომლებიც წარმოდგენილია მიმდინარე ინჟინერიის პროგრამებში მოქმედია, მიმდინარეობს ლექციები და ჰყავთ მოწვეული პედაგოგები რომლებსაც სემესტრის განმავლობაში შესაძლოა ახლებიც ჩაენაცვლონ. ასევე მან დამატა, რომ უნივერსიტეტის პრაქტიკის მიხედვით, როდესაც მათ აჰყავთ ახალი პერსონალი და იწყებენ მასთან შრომით ურთიერთობას, მათ ჯერ აქვთ საცდელი ლექცია, სადაც ფასდება მათი პედაგოგიური უნარები, საგნის სიღრმისეული ცოდნა, ენის კომპეტენცია და სხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკურად დალაგდა ისე, რომ აკრედიტაციის ვიზიტზე გასაუბრების დროს ექსპერტები ერთდროულად გაესაუბრნენ როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვანი პროგრამის პერსონალს, შესაბამისად, გამომდინარე იქედან რომ წარმოება არ შეფერხებულიყო და ყველაფერი ამომწურავად ყოფილიყო გადმოცემული, პროცესი წარიმართა მთლიანად ქართულ ენაზე. ის მომენტი, რომ მათ უნივერსიტეტში ვინმემ, ვინც ინგლისურ ენაზე უნდა წაიკითხოს ლექცია არ აქვს ენის ცოდნის კომპეტენცია გამორიცხულია, სხვა თუ არაფერი ეს უნივერსიტეტის პრესტიჟის საკითხია და საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ის პრესტიჟი, რომ ფალსიფიკაციას არ ახდენს და მათი ყველაზე დიდი წილი უცხოელ სტუდენტებზე მოდის. მათ აქვთ ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰქვია კურატორი. კურატორი არის კონკრეტული სილაბუსის ავტორი, რომელიც შედიან თავიანთ შედგენილი სილაბუსების ქართულენოვან პროგრამებზე, მაგრამ არ შედიან ინგლისურენოვან პროგრამაზე, იმიტომ რომ შესაძლებელია მას არ ჰქონდეს საკმარისი ენობრივი კომპეტენცია იმისათვის რომ გადასცეს ცოდნა სტუდენტებს, მაგრამ

საკმარისი შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ სასწავლო კურსი შეადგინოს. ეს ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული რამ არის. მათი დებულების მოთხოვნაა, რომ მათ ადმინისტრირება გაუწიონ სილაბუსის საკითხებს, ადმინისტრირებაში კი მხოლოდ სილაბუსის დაწერა არ იგულისხმება, მათ შორის ადმინისტრირებაში იგულისხმება სხვა წამკითხველ ლექტორებთან თანამშრომლობა, მათი პოზიციების მოსმენა, სემესტრის განმავლობაში მიღებული უკუკავშირების გაზიარება, გაანალიზება, რომელთა განხილვაც შემდეგ ხდება პროგრამის საბჭოზე. ასეა მათი ადმინისტრირება მოწყობილი რომელიც წლებია უკვე მუშაობს. აქედან გამომდინარე ისინი ვერ ხედავენ ვერანაირ პრობლემას, რომ კურატორი იყოს ამ შემთხვევაში გაფორმებული როგორც კონკრეტული კურსის ხელმძღვანელი, მათ შორის ინგლისურენოვან სილაბუსებშიც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კურატორების მინიმალური კომპეტენციებთან დაკავშირებით, რასაც დაწესებულება ითხოვს მათგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურატორს პირველ რიგში მოეთხოვება იმ კურსთან მიმართებით, რომელსაც ის კითხულობს შესაბამისი კვალიფიკაცია. მათ შესაბამისი კომპეტენციის დასადასტურებლად აქვთ შიდა საუნივერსიტეტო ძალიან ბევრი შესაძლებლობა, მაგალითად ერთი რომ cv - ის დონეზე გაიგონ ადამიანს აქვს თუ არა შესაბამისი გამოცდილება. მისი თქმით მათ ჰქონიათ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანებს არ ჰქონდათ წონადი cv - ები თუმცა, საჩვენებელ ლექციებზე გამოავლინეს საკმაოდ დიდი კომპეტენცია და უნარ - ჩვევები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ ისინი არიან აკრედიტაციის საბჭო წევრები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ არსებული დოკუმენტების შესაბამისად, ხოლო წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ზოგიერთ პერსონალს არ უდასტურდება ენის კომპეტენცია, დაწესებულება ამბობს რომ ამ პერსონალის იქეთაც არსებობენ ადამიანები, რომლებიც ასევე ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია საბჭოს არ აქვს, არ აქვთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ერთ-ერთი მაგალითი ახსენეს, თუ როგორ შეიძლება მიმდინარეობდეს უშუალოდ პროცესი, ხოლო ის ადამიანი ვინც საბჭომ ახსენა, რომელსაც B1 დონის ცოდნა აქვს ინგლისურში მხოლოდ ერთია და მან განმარტებაც მასთან დაკავშირებით გააკეთა. მაგრამ მასთან ერთად მათ მიერ გამოგზავნილ სილაბუსებში ასევე არიან ადამიანები, რომელთაც გამოგზავნილ cv - ებში უდასტურდებათ B2 დონის კომპეტენცია.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, ის დაინტერესდა სილაბუსების კურატორებთან დაკავშირებით, კერძოდ, ინგლისურენოვან პროგრამაში თუ მათ არ გააჩნიათ ინგლისური ენის კომპეტენცია, როგორ იძიებს შესაბამის ლიტერატურას რომელის სილაბუსში უნდა იქნეს მითითებული, თუ ინგლისურენოვან პროგრამის სილაბუსებში ქართულენოვანი ლიტერატურა უნდა იყოს მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ერთმანეთის იდენტურია, მათ შორის სასწავლო კურსებიც, ისინი ერთსა და იმავე შედეგებზე გადიან ერთი და იგივე რესურსებით. თითქმის ყველა სილაბუსში განსხვავება თემების მიხედვით არ არის, იგივე ეხება ლაბორატორიულ სამუშაოებსაც. განსხვავება არის მხოლოდ ლიტერატურაში. ინგლისურენოვანი პროგრამის სასწავლო კურსები დაფუძნებულია უცხოენოვან ლიტერატურაზე. საჭიროების შემთხვევაში აკეთებენ თარგმანს და იყენებენ მსგავს ქართულ ლიტერატურას. ეს ძირითადად ხდება ისეთ ფუნდამენტურ საგნებში, როგორც არის

მათემატიკა, ფიზიკა და ა.შ. რაც შეეხება ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციას, მათი ყველა ლექტორი ფლობს ინგლისურ ენას იმ დონეზე რა დონეზე მათ შეუძლიათ წერის, წაკითხულის ახსნის, გააზრებისა და გადმოცემისათვის. ლექციაზე ეფექტურად კომუნიკაციის შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს. აკადემიური პერსონალი ფლობს ინგლისურ ენას იმ დონეზე, რომ გაეცნოს ლიტერატურას შეაფასოს და გამოიყენოს ლიტერატურაში არსებული მასალა და შეადგინოს კურსი სრულყოფილად როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ კურსს ადგენს ლექტორი, მას ასევე ამოწმებენ ენის სპეციალისტები გრამატიკულად და ა.შ. შემდეგ კი ხდება უკვე კურსის საბოლოო სახით ჩამოყალიბება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ თუ ქართული ლიტერატურა არ არსებობს და ესეთი შემთხვევები ძალიან ბევრია და ლექტორმა შეიძლება ლაპარაკით ვერ საუბრობს, მაგრამ ძალიან კარგად ეცნობა თანამედროვე ლიტერატურას, მოიძია შესაბამისი ლიტერატურა და ჩადო რელევანტურობის პრინციპიდან გამომდინარე ქართულენოვან სილაბუსში, ეს ხომ ნიშნავს, რომ მას შეუძლია ინფორმაციის მოძიება ინგლისურ ენაზე მათ შორის ლიტერატურის მნიშვნელობის განსაზღვრაც.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლოვამ უპასუხა, რომ ქართულენოვან სილაბუსში რა თქმა უნდა სასურველია და კარგია თუ მოძიებული იქნება ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებიც, მაგრამ ეს მითითებული უნდა იყოს დამატებით ლიტერატურაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში გვხვდება ისეთი სილაბუსები სადაც მითითებულია ქართულენოვანი ლიტერატურა, მაგალითად ერთი ასეთი საგანია „კომპიუტერული არქიტექტურა“ და თუ კი პროგრამაზე ხდება უცხოელი სტუდენტების მიღება, როგორ დაამუშავებენ ქართულენოვან ლიტერატურას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არცერთი ინგლისურენოვანი სილაბუსი არ აქვთ სადაც ქართულენოვანი ლიტერატურაა მითითებული, ამის დადასტურება ექსპერტებსაც შეუძლიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ჩამოთვალა ის სილაბუსები სადაც მითითებული იყო ქართულენოვანი ლიტერატურა - კალკულუსი 1 , კალკულუსი 2 , არქიტექტურა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინგლისურ ენაზე შესაბამისი ლიტერატურის პრობლემა არ არსებობს, ეს შეიძლება იყოს ტექნიკური ხარვეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმაც აღნიშნა, რომ ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ტექნიკური ხარვეზით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 13:33 სთ

დასრულების დრო: 14:17 სთ

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა - „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. ასევე, დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები

რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს ელექტრონულ და კომუნიკაციების ინჟინერიაზე;
2. რეკომენდებულია პროგრამის წინაპირობა საშუალებას აძლევდეს აბიტურიენტებს ჩააბარონ აღნიშნულ პროგრამაზე როგორც მათემატიკის, ასევე ფიზიკის ცოდნით;
3. საგანი სიგნალების დამუშავება ისწავლებოდეს მათემატიკური აპარატის გავლით;
4. საგანს სასიგნალო პროცესორები წინაპირობად განესაზღვროს, ციფრული ელექტრონიკა;
5. სასწავლო კურსებში აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოები;
6. მოხდეს სასწავლო კურსების შესაბამის პროგრამებით უზრუნველყოფა;
7. რეკომენდებულია გადაიხედოს და ჩასწორდეს საბაკალავრო პროექტში პუნქტი 5.3 ჯგუფური 20 - ქულიანი შეფასების ნაწილში;
8. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიქმნას პროგრამისთვის შესაბამისი საბაკალავრო პროექტის სილაბუსი;
9. სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო საგანთან და აისახოს სილაბუსის თემატიკაში;

10. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში და საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურა საკმარისია მხოლოდ 2-3 სტუდენტის მისაღებად. აუცილებელია არსებული აპარატურის დამატებითი ეგზემპლარების შეძენა;
11. აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview);
12. ლაბორატორიული სამუშაოების აღწერილობები უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე.

რჩევები:

1. სილაბუსებში სასურველია ქართულ ენოვანი ლიტერატურის დამატება;
2. სასურველია მოწვეული პერსონალის ინფორმირება სასწავლო პროცესების შესახებ;
3. გაუმჯობესდეს დამსაქმებელთა კავშირი სტუდენტებთან და უზრუნველყოს სტუდენტებისათვის შესაბამისი შეხვედრები და ინფორმაციის მიწოდება;
4. გაიზარდოს სტუდენტების დაინტერესება და ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში;
5. გასწორდეს თვითმეფასების ანგარიშში პროგრამის დაშვების წინაპირობა;
6. მეტი ყურადღება მიექცეს აკადემიური პერსონალისათვის მათი ვალდებულებების ახსნა განმარტებას;
7. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გასააქტიურებელია ELSEVIER-ის და EBSCO-ს ბაზები ისე, რომ შესაძლებელი იყოს სტატიების pdf ვერსიების ჩამოტვირთვა;
8. სასურველია წარმოდგენილი იყოს პროგრამის ანალოგიურ ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებთან შედარება და ანალიზი, რადგან უფრო მკვეთრად მოხდეს აღნიშნული პროგრამის აქტუალურობის და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. ასევე, სასურველი იქნება მოხდეს არსებული პროგრამის შეფასება დარგის სხვადასხვა ადგილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მიერ, პროგრამის დახვეწის მიზნით;
9. გარდა ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასებისა, სასურველია მოხდეს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა - „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამდიბლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 2 სტანდარტის 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მთლიანობაში მე - 2 სტანდარტის სრული შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან დარჩა უცვლელი. ასევე, საბჭომ დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 3¹ პუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელებით .

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს ელექტრონულ და კომუნიკაციების ინჟინერიაზე;
2. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს დაემატოს მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით;
3. რეკომენდირებულია დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს კანონმდებლობასთან;
4. საგანი სიგნალების დამუშავება ისწავლებოდეს მათემატიკური აპარატის გავლით;
5. საგანს სასიგნალო პროცესორები წინაპირობად განესაზღვროს, ციფრული ელექტრონიკა;
6. სასწავლო კურსებში აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოები;
7. მოხდეს სასწავლო კურსების შესაბამის პროგრამებით უზრუნველყოფა;
8. რეკომენდებულია გადაიხედოს და ჩასწორდეს საბაკალავრო პროექტში პუნქტი 5.3 ჯგუფური 20 -ქულიანი შეფასების ნაწილში;
9. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიქმნას პროგრამისთვის შესაბამისი საბაკალავრო პროექტის სილაბუსი;
10. სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო საგანთან და აისახოს სილაბუსის თემატიკაში;
11. პროგრამის მდგრადობის მიზნით საჭიროა ინგლისურენოვანი ადამიანური რესურსის მოძიება;
12. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში და საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურა საკმარისია მხოლოდ 2-3 სტუდენტის მისაღებად. აუცილებელია არსებული აპარატურის დამატებითი ეგზემპლარების შეძენა;
13. აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview).

რჩევები:

1. სასურველია მოწვეული პერსონალის ინფორმირება სასწავლო პროცესების შესახებ
2. გაუმჯობესდეს დამსაქმებელთა კავშირი სტუდენტებთან და უზრუნველყოს სტუდენტებისათვის შესაბამისი შეხვედრები და ინფორმაციის მიწოდება;

